განკარგულება:**g-135. 135231236**
თარიღი:**03/05/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობებისგადასახური მასალით დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის ე- პუნქტის, „ე.გ“ ქვეპუნქტის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს:
ა) მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა“ დანართი №1-ის შესაბამისად. (დანართი: 4 ფრ);
ბ) განცხადების ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად. (დანართი: 1 ფრ);
გ) ხელშეკრულების ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად. (დანართი: 1 ფრ);
2. ძალადაკარგულად გამოცხადების „მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის № g-135.135220561 განკარგულება;
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დამტკიცებულია

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის 2023 წლის 2 მაისის
განკარგულებით

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. ჯაფარიძე

დანართი №1

მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა

1. **პროგრამის აღწერა:**

მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული და ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა ითვალისწინებს არსებული ავარიული ან/და დაზიანებული საცხოვრებელი სახლების, სვანური საცხოვრებელი სახლების (მაჩუბი), სასაქონლე შენობების (გარდა ხით ნაშენისა) და სვანური კოშკების, აგრეთვე ახალაშენებული შენობების, მათ შორის კომერციული ფართების გადასახური მასალით (თუნუქი, ყავარი) დახმარებას.

2. **პროგრამის დაფინანსების წყარო:**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი.

3. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური, ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა.

4. **პროგრამის მიზანი:**

- პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ფიზიკურ პირს ან ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელსაც დაწყებული აქვს სიძველით ან/და სტიქიით დაზიანებული შენობის აღდგენა, ან აპირებს მის აღდგენას, ან ახლის აშენებას, დაეხმაროს გადასახური მასალით.
- პროგრამის გრძელვადიანი მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში დადებითი მიგრაციის პროცესის ხელშეწყობა. პროგრამა დაეხმარება ადგილობრივებს გადასახური მასალით (თუნუქი/ყავარი), რაც, ერთი მხრივ, იქნება მოტივატორი საცხოვრებლად დაბრუნების

მსურველი ოჯახებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენა-შენარჩუნებას, სვანური ავთენტური არქიტექტურის შენარჩუნებას, მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებასა და სოფლებისა და დაბის ერთიანი ურბანული იერსახის განვითარებას.

5. პროგრამის შინაარსი:

პროგრამა ითვალისწინებს დაინტერესებული პირისთვის, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს, შენობა-ნაგებობისთვის გადასახური მასალით (თუნუქი/ყავარი) დახმარების გაწევას, ხოლო გადაწყვეტილება პროგრამით დაინტერესებული პირის დაკმაყოფილების თაობაზე მიიღება პროგრამით გათვალისწინებული პროცედურით.

6. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის მოსალოდნელი შედეგებია:

ა) პროგრამით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების (ასევე სვანური კოშკების) განახლებული სახურავების გაზრდილი რაოდენობა;
ბ) მესტიის მუნიციპალიტეტში საცხოვრებლად დაბრუნებული ოჯახების გაზრდილი რაოდენობა;
გ) გადარჩენილი-შენარჩუნებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაზრდილი რაოდენობა;
დ) შენარჩუნებული სვანური ავთენტური არქიტექტურა;
ე) პროგრამით დაინტერესებული პირისთვის გაუმჯობესებული საარსებო პირობები;
ვ) ერთიანი ურბანული იერსახის პრინციპის დამკვიდრება.

7. პროგრამის განხორციელების პროცედურა:

პროგრამის განხორციელების პროცედურა შემდეგია:

ა) მოქალაქის მიერ სრულყოფილი განცხადების შემოტანა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში (იხ. პუნქტი 9).

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური ჯგუფის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობის ადგილზე შესწავლა და შესაბამისი დოკუმენტის მომზადება (დეფექტური აქტი).

გ) მერის კურატორი მოადგილისა და სპეციალური ჯგუფის მიერ სრული დოკუმენტაციის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მერთან შეთანხმებით (დაკმაყოფილება ან უარყოფა).

დ) დაკმაყოფილების შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიასა და დაინტერესებულ პირს შორის ხელშეკრულების გაფორმება და გადასახური მასალის მიღება-ჩაბარების წესით გაცემა.

ე) დაინტერესებული პირის მიერ შესაბამისი შენობა-ნაგებობის გადახურვის განხორციელება მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან სამი თვის ვადაში.

ვ) მესტიის მუნიციპალიტეტიის მერიის სპეციალური ჯგუფის მიერ პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებული დაინტერესებული პირის შენობა-ნაგებობების მონიტორინგი.

ზ) "ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული სპეციალური ჯგუფი დაკომპლექტებული იქნება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურების და ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის თანამშრობლებისგან.

8. პროგრამით "დაინტერესებული პირი":

პროგრამაში მოქალაქეებს შეუძლიათ ჩაერთონ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) სიძველის ან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სახურავის მქონე შენობა-ნაგებობების (გარდა დამხმარე ნაგებობებისა) მესაკუთრე ფიზიკური პირები.

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტში საცხოვრებლად დაბრუნებული ფიზიკური პირები, კერძოდ დახმარების ობიექტია მათ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, მათ შორის კოშკები.

გ) ფიზიკური პირები/ ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის შესაბამისად აწარმოებენ მათ საკუთრებაში არსებულ მიწაზე საცხოვრებელი სახლების, საოჯახო სასტუმროებისა თუ კომერციული ფართების სამშენებლო სამუშაოებს.

დ) პროგრამით დაინტერესებული პირები, რომლებმაც გასულ წლებში უკვე ისარგებლეს შესაბამისი დახმარებით/დაფინანსებით, განმეორებით ვერ ისარგებლებენ აღნიშნული პროგრამით.

9. პროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე მოქალაქემ მერიაში საკითხის შესწავლის მიზნით უნდა წარმოადგინოს:

ა) შესაბამისი ფორმით წარმოდგენილი სრულად შევსებული განცხადება მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის სახელზე;

ბ) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა შენობა-ნაგებობის აღდგენის, მდგომარეობის ან მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

გ) გადასახური შენობა-ნაგებობის გარე ფასადების (აუცილებლად უნდა ჩანდეს სახურავი), ან გადასახურად მომზადებული ხის კონსტრუქციის ფოტოსურათები.

10. დახმარების ფორმა:

11. ა) გადასახური მასალის რაოდენობა ერთი დაინტერესებული პირისთვის განისაზღვროს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალური ჯგუფის მიერ ადგილზე შესწავლის/აზომვის შედეგად დადგენილი ფართობის მიხედვით, თუმცა არაუმეტეს 200 კვადრატული მეტრისა.

ბ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, კერძოდ სვანური საცხოვრებელი სახლების (მაჩუბი) და სვანური კოშკების დაკმაყოფილება განისაზღვროს გადასახური მასალის საჭირო მოცულობის შესაბამისად (ლიმიტის გარეშე).

გ) აღნიშნული პროგრამით გადასახური მასალით დახმარება მოხდება შემდეგნაირად:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სვანური კოშკებისთვის ყავარი.
- მაჩუბებსა და შენობა-ნაგებობებზე გაიცემა მუქი ნაცრისფერი შეფერილობის თუნუქის მასალა ან/და ყავარი.

დ) გადასახური მასალით დახმარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი შენობა-ნაგებობისთვის ერთ დაინტერესებულ პირზე. შესაბამისად, დაინტერესებულ პირს ექნება არჩევანი პროგრამის დახმარება გამოიყენოს ან საცხოვრებელი სახლისთვის, ან მაჩუბისთვის, ან კომერციული ფართისთვის, ან საოჯახო სასტუმროსთვის. თუმცა, თუ დაინტერესებულ პირს აგრეთვე აქვს საჭიროება პროგრამაში ჩართოს სვანური კოშკი - შესაძლებელი იქნება დაინტერესებულ პირს გადასახური მასალა გადაეცეს როგორც შენობა-ნაგებობისთვის, ასევე სვანური კოშკისთვის.

12. გადასახური მასალის (თუნუქი, ყავარი) გაცემის წესი:

ა) დაინტერესებულ პირზე გადასახური მასალა გაიცემა სრულყოფილი დოკუმენტაციისა და ამ დადგენილებაში აღწერილი სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე.

ბ) მასალა გაიცემა მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურიდან სპეციალური ჯგუფის წევრების მიერ (მისამართი: რაშიბ ნაკანის ქ. N7, დ.მესტია)

მიღება-ჩაბარების წესით. გადასახური მასალის გადაზიდვაზე პასუხისმგებელია დაინტერესებული პირი.

13. მონიტორინგის წესი

ა) პროგრამით დაინტერესებულ პირთან მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს განახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური ჯგუფი და სამ თვეში ერთხელ შესწავლილ შედეგებს ანგარიშის სახით წარუდგენს მესტიის მუნიციპალიტეტის მერს.

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალური ჯგუფის მიერ პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებული დაინტერესებული პირის შენობა-ნაგებობის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით განისაზღვროს შემდეგი აღსრულების მექანიზმი:

- თუ დაინტერესებული პირი ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან 3 თვის ვადაში ვერ მოახერხებს შენობის გადახურვას და შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში ვერ წამოადგენს გადახურვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (ფოტოებს), მან 3 თვიანი ვადის ამოწურვამდე უნდა მიმართოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას ვადის გაგძელების მოთხოვნით, რის საფუძველზეც მიეცემა დამატებით 1 თვე გადახურვის დასასრულებლად;
- თუ დაინტერესებული პირი შესაბამის ვადაში არ წარმოადგენს გადახურვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ვადის ამოწურვის შემდგომ პირველ სამუშაო დღეს მესტიის მუნიციპალიტეტის მხრიდან გაეგზავნება წერილი, რომლითაც მოეთხოვება წერილის მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში გადასახური მასალის უნაკლოდ დაბრუნება თავდაპირველი გაცემის ადგილას;
- თუ დაინტერესებული პირი შესაბამის შემთხვევაში უნაკლოდ არ დააბრუნებს პროგრამის ფარგლებში მისთვის გადაცემულ გადასახურ მასალას, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია 1 კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ პირველ სამუშაო დღეს დაინტერესებულ პირს დააკისროს პირგასამტეხლო დასაბრუნებელი გადასახური მასალის საბაზრო ღირებულების ოდენობით მესტიის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე. პირგასამტეხლოს გადახდა განისაზღვროს 1 თვის ვადით;
- თუ დაინტერესებული პირი არ გადაიხდის შესაბამის პირგასამტეხლოს შესაბამის ვადაში, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით და მიმართოს სასამართლოს.

დანართი №2

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს

მოქალაქე (სახელი, გვარი) .....

მცხოვრები (მისამართი) .....

პირადი ნომერი .....

საიდენტიფიკაციო კოდი (თუ ხართ ინდივიდუალური მეწარმე) .....

რეგისტრირებული მიწის საკადასტრო კოდი, რომელზეც მდებარეობს გადასახური შენობა-ნაგებობა .....

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი .....

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში მითითებულ მისამართზე ჩემს საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე ვფლობ:

(გთხოვთ მონიშნოთ ერთ-ერთი. მეორე შეგიძლიათ მონიშნოთ მხოლოდ კოშკი)

1. ☐ კერძო სახლს ☐ კომერციულ ფართს

   ☐ საოჯახო სასტუმროს ☐ მაჩუბს

2. ☐ კოშკს

☑

რომელზედაც დასრულებული მაქვს მეორე ეტაპის სამუშაოები და დარჩა მხოლოდ გადახურვა.

გთხოვთ გამიწიოთ მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალის პროგრამით გათვალისწინებული დახმარება.

თარიღი ----------

განმცხადებლის ხელმოწერა ----------

ხელშეკრულება №

დ.მესტია ---.---.2023 წელი

ერთის მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ---------- (პ/ნ ------) სახით, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამით დაინტერესებული პირი ---------- (მისამართი: ----------; პირადი ნომერი/ს.კ. ----------) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“):

1. მხარეთა სახელწოდება

1.1 „მიმწოდებელი“- მესტიის მუნიციპალიტეტის მერია

1.2 „დაინტერესებული პირი“ - მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ფიზიკური პირი/ ინდ.მეწარმე, რომელიც მონაწილეობას იღებს განკარგულებით გათვალისწინებულ პროგრამაში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია --- განკარგულების საფუძველზე, ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამის'' ფარგლებში (შემდგომში „პროგრამა“) „დაინტერესებული პირისთვის დახმარების აღმოჩენის პროცესში „მიმწოდებელსა“ და „დაინტერესებული პირს“ შორის ურთიერთობის რეგულირება.

2.2 ხელშეკრულების საგანია „დაინტერესებული პირისთვის'' მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე (საკადასტრო კოდით: ----------) მდებარე შენობა-ნაგებობისთვის ,,მიმწოდებლის'' მიერ შესაბამისი აქტით დადგენილი რაოდენობის, კერძოდ ---------- კვ.მ გადასახური მასალით (თუნუქი ან ყავარი) დახმარება.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია დროულად უზრუნველყოს დახმარების პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებული „დაინტერესებული პირისთვის'' შესაბამისი გადასახური

მასალის მიწოდება, მასალის გაცემის ადგილას ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურიდან (მისამართი: დ.მესტია, რაშიბ ნაკანის ქ. N7).

3.2 ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია მოახდინოს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული გადახურული შენობა-ნაგებობის ადგილზე დათვალიერება/მონიტორინგი.

3.3. „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია პროგრამის ფარგლებში გადასახური მასალის მიღებიდან (მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან) 3 თვის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი შენობა-ნაგებობის ჯეროვანი გადახურვა.

3.4 „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს გადახურული შენობა-ნაგებობის დამადასტურებელი ფოტოსურათები ,,3.3'' ქვეპუნქტში მითითებულ ვადაში.

4. პასუხისმგებლობა

4.1 იმ შემთხვევაში თუ „დაინტერესებული პირის“ მიერ გადასახური მასალის მიღების შემდეგ მოხდება შესაბამისი შენობა-ნაგებობის გადახურვის 3 თვიანი ვადის გადაცილება, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია „დაინტერესებული პირს“ წერილობითი თხოვნის საფუძველზე 3 თვიან ვადას დაამატოს კიდევ 30 დღე, რათა განახორციელოს შენობა-ნაგებობის გადახურვის დასრულება.

4.2 თუ „დაინტერესებული პირი“ არ დაასრულებს შესაბამისი შენობა-ნაგებობის გადახურვის სამუშაოებს შესაბამის ვადაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ოფიციალურად მისწეროს „დაინტერესებულ პირს“ და მოითხოვოს მისგან პროგრამის ფარგლებში აღმოჩენილი დახმარების - გადასახური მასალის უნაკლოდ უკან დაბრუნება მუნიციპალიტეტისთვის თავდაპირველი გაცემის ადგილას წერილის მიღებიდან 7 დღის ვადაში.

4.3 თუ პუნქტ „4.2“-ში აღწერილ შემთხვევაში „დაინტერესებული პირი“ უნაკლოდ უკან არ დააბრუნებს პროგრამის ფარგლებში მისთვის აღმოჩენილ დახმარებას - გადასახურ მასალას თავდაპირველი გაცემის ადგილას 7 დღის ვადაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო „დაინტერესებული პირის“ მიერ დასაბრუნებელი გადასახური მასალის საბაზრო ღირებულების ოდენობით მესტიის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდის ვადა განისაზღვროს 1 თვით.

4.4 თუ პუნქტ „4.3“-ში აღწერილ შემთხვევაში „დაინტერესებული პირი“ არ გადაიხდის პირგასამტეხლოს შესაბამის ვადაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით და მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედია ,,მიმწოდებლის'' მიერ ხელშეკრულების დადებიდან გადახურული შენობა-ნაგებობის შემოწმებამდე.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება იურიდიული ძალის მქონე იქნება, თუ იგი დადებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდილი ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეებისათვის გადასაცემად. ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან" ხოლო მეორე - „დაინტერესებულ პირთან".

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

6.2 მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7. მხარეთა ხელმოწერები

„მიმწოდებელი“	„დაინტერესებული პირი“
დასახელება: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: სეტის მოედანი N1, დ.მესტია საიდენტიფიკაციო კოდი: 235895046 მერის მოადგილე ----------	სახელი, გვარი:----- მისამართი: ------ პირადი ნომერი:----- ---------- სახელი,გვარი